№ 200 მთავრობის მოამბე ოფიციალური გაზეთი წელიწადი მესამე

საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 10 მან. შაბათი, სექტემბრის 4 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ოფიციალური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებანი)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ნე გ. 10 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 100 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20% რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობა

იწვევს საგნების და ენების სრულ უფლებიან მასწავლებლებს ჩოხატაურის საერობო გიმნაზიისთვის. აგრეთვე იწვევს გამგეებს და მასწავლებლებს მაზრის საერობო უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელთათვის. მასწავლებლები მიიღებენ (გიმნაზიაში) გარდა შტატის ჯამაგირისა, ბინას და გათბობა განათებასაც. თხოვნები საბუთებით უნდა გადმოიგზავნოს ოზურგეთში, სამაზრო ერობის გამგეობაში.

866 5—4

სენაკის სამაზრო ერობის გამგეობა

აცხადებს, რომ სექტემბრის 6-ს დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა ლეგარდე და ჩეკოლაში

საგარაკო სახლების ასაშენებლად. შეჯიბრება მოხდება დილის 11 საათზე, ქ. სენაკში ერობის გამგეობის ბინაზე. თუ დანიშნულ დღეს შეჯიბრება არ შესდგა ხელმეორედ დანიშნულია სამშაბათს. სექტემბრის 7-ს.

2553 2—2

ქუთაისის სამხედრო ბინათა დისტანცია ამით აცხადებს,

რომ მიმდინარე წლის სექტემბრის 7-ს დისტანციის კანცელარიაში დილის 12 საათზე დანიშნულია

შეჯიბრება

სურამის ადგილობრივი ლაზარეთიდან უსუფთაობის, ნაგვის და საკვამლე მილების გაწმენდაზე ერთი წლის ვადით. პირობების გაგება შეიძლება ყოველ დღე გარდა უქმისა აღნიშნულ კანცელარიაში.

875 1—1

ჩაქვის სახელმწიფო მამულის სამმართველო ამით აცხადებს,

რომ მას აქვს გამოსატანი საკუთარი ტყიდან 500 კუბ. საჟ. გამხმარი შარშანდელი მოჭრილი შეშა. რის შესახებ ამა წლის 12 სექტემბერს დღის 12 საათზე დანიშნულია ხელ-მეორედ სად. ჩაქვში სამმართველოს ბინაზე

საჯარო შეჯიბრება

ცნობების მიღება შეიძლება ტფილისში მიწათ-მოქმედების სამინისტროს სახელმწიფო მამულთა განყოფილებაში. დილის 9—1 საათამდე. და სად. ჩაქვში მამულის სამმართველოს კანცელარიაში ყოველ დღე.

4—1 2577

ტფილისის რუსეთის სახელმწიფო ბანკის კანტორის სალიკვიდაციოთ

ფინანსთა მინისტრის მიერ დანიშნულია

სალიკვიდაციო კომისია

რომელმაც უკვე დაიწყო თვისი მოქმედება ამა წლის ენკენისთვიდან—გრიბოედოვის ქუჩაზე, № 22,—შემნახველ-გამსესხებელ კასის შენობაში მოთხოვნელებმა ყველა კითხვების და ცნობებისათვის ბანკის კანტორის საქმეების შესახებ—უნდა მიმართონ კომისიის კანცელარიაში ზემოხსენებული მისამართით დილის 10 საათიდან 1 საათამდის (10—1).

874 2—1 **სალიკვიდაციო კომისია.**

მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან ტფილისის ცენტრალურ ფოსტის შენობაში (პლეხანოვის პროსპ.)

გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის კურსები

სადაც ამზადებენ ფოსტა-ტელეგრაფის ყველა სპეციალობის მოხელეებს. კურსებზე შიიღება საქართველოს ყოველი ქართული ენის კარგათ მცოდნე მოქალაქე 18 წლიდან 25 წლამდე, რომელიც 15 სექტემბრამდე შემოიტანს თხოვნას ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოში შემდეგი მოწმობებით: 1) განათლების (არა ნაკლებ უმაღლეს პირველ დაწყების სასწავლებლისმთელი კურსისა), 2) დაბადების მეტრიკას, 3) ჯანმრთელობის (საერობო ან საქალაქო ექიმისაგან) და 4) ორი შემოწმებული ფოტოგრაფიული სურათი. კურსები და პრაქტიკული მეცადინეობა გაგრძელდება ერთი წელიწადი. მოწაფეებს მიეცემათ უწყების სტიპენდია თვითეულს თვეში 1000 მანეთი. მოწაფეები კურსების ღირსეულათ დამთავრებისათანავე ჩაირიცხებიან სახელმწიფო სამსახურში.

876 3—1

ოფიციალური განყოფილება.

განკარგულებანი

მიწათ-მოქმედების მინისტრისა.

13 აგვისტო, 1920 წ., № 294.

ინიშნებიან: სატყეო კურსების კურს დამთავრებული კ. ყ. ებრაილიძე მეორე ხარისხის ტყის გამგის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად.

14 აგვისტო, 1920 წ., № 295.

დათხოვნილია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: ბორჩალოს მაზრის მიწის მზომელი კ. ჭალიძე, თანახმად თხოვნისა, 1 აგვისტოდან.

10 აგვისტო 1920 წ., № 296.

დანიშნულია: ნიკოლოზ დარახველიძე სასოფლო მეურნეობის მავნებელთან მებრძოლ ბიუროს საქმის მწარმოებლად ამა წლის აგვისტოს 1-დან.

14 აგვისტო, 1920 წ., № 297.

დანიშნულია: სოლომონ ჩოლოყაშვილი სასოფლო სამეურნეო განყოფილების მევენახეობა-მეღვინეობის სპეციალისტად ამა წლის აგვისტოს 1-დან.

14 აგვისტო, 1920 წ., № 298.

დანიშნულია: სახელმწიფო მამულთა განყოფილების ნოქარის თანაშემწეთ აპოლონ ივანეს ძე მაღულარია ამა წლის 10 აგვისტოდან.

13 აგვისტო, 1920 წ., № 299.

დანიშნულია: რომან ნატროშვილი ყარაიას ბამბის ნაკვეთების გამგეთ ამა წლის ივნისის 1-დან.

მიწად-მოქმედების მინისტრის
ამხანაგი **მალანია.**

შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა

ახალქალაქის ქალაქის მილიციისა. დამატება № 8.

№№ რიგზე.	თანამდებობათა და გასაწევი ხარჯის სახელწოდება.	თანამდ. პირ. რიცხვი.	თვიური ჯამაგირი.		ყველას 1920 წ. იანვრის 1-დან ივნის. 1-დე.
			თვითეულს.	ყველას.	
1	მილიციის უფროსი	1	2500	2500	12500
2	საქმის მწარმოებელი	1	1800	1800	9000
3	უფროსი მილიციელი	3	1600	4800	24000
4	უმცროსი მილიციელი	33	1500	49500	247500
5	სამეურნეო ხარჯი	—	—	1500	7500
	სულ . .	38	—	60100	300500

1920 წ. ივლისის 6-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლორთათიძე.**
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

არა ოფიციალური განყოფილება

მიწად-მოქმედების სამინისტროს

საფეიქრო სკოლა.

მიწად-მოქმედების მინისტრმა მიიღო საფეიქრო სკოლის ხელმძღვანელთა და მსმენელთაგან მადლობის დეპეშა. დეპეშაში იმედს გამოსთქვამენ, რომ ახლო მომავალში ისინი შეიძლებენ ადგილობრივ ისეთ ნედლ მასალის დამუშავებას, როგორიც არის მატყლი, ბამბა, აბრეშუმი და სხვა, რითაც ხელს შეუწყობენ საქართველოს ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მისალმება.

მიწად-მოქმედების სამინისტრომ მევენახეთა და მეღვინეთა ყრილობისაგან მიიღო მისასალმებელი დეპეშა.

ჰიდრო-ელექტრონული სადგური.

მდინარე ტყიბულზე ჰიდრო-ელექტრონული სადგურის ასაგები სამმართველო შუამდგომლობს მიწად-მოქმედების სამინისტროს წინაშე, რომ ნება მიეცეს კონცესიის დირექტორს ბ-ნ ფრიდს მოახდინოს ფოტოგრაფიულ სურათების გადაღება კონცესიის მიდამოებში. ამის შესახებ მიწად-მოქმედების სამინისორომ აუწყა სახელმწიფო სამინისტროს, რომ მან ნება დართოს ბ-ნ ფრიდს ფოტოგრაფიულ სურათების გადაღების.

კურორტების გამოკვლევა.

კურორტების გამომკვლევმა კომისიამ ბორჯომის და აბასთუმანის რაიონები გამოიკვლია. შემდეგი კომისიამ გამოიკვლია ახალციხის, ურაველის და სხვა მინერალური წყლები. სექტემბრის პირველს კომისია დასავლეთ საქართველოში გაემგზავრა. მისი მიზანია სვანეთის, სამეგრელოს და ჭუთაისის მაზრებში არსებულ მინერალურ წყლების და კურორტების გამოკვლევა.

დახმარება გადასახლებულთ.

მიწათ-მოქმედების სამინისტროში გადასახლებულთათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ საკითხი აღიძრა. დახმარება ინვენტრის მიწოდებაში უნდა გამოიხატოს. ამ მიზნისათვის სამინისტრო მუშა საქონლის შესყიდვას ფიქრობს. თანახმად არსაბულ ცნობებისა საქონლის შეძენა შეიძლება აზერბეჯანში, რისთვისაც იქ წარმომადგენლები იგზავნება.

ფინანსთა სამინისტროში

საწარმოო ძალების განვითარება.

ფინანსთა სამენისტრომ მიიღო ხისგან ქაღალდის კეთების სპეციალისტ როზენკრანცის შუამდგომლობა. როზენკრანცი თავის შუამდგომლობაში აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ მას აქვს ხელთ გაუმჯობესებული ქაღალდის საკეთებელი მანქანები, ასე რომ ამბობს როზენკრანცი, 7—8 თვის შემდეგ შეიძლება ქარხნის სავსებით ამუშავებაო. საგარეო საქმეთა სამინისტრო თავის მხრით მიესალმება ამ შუამდგომლობას, ვინაიდან ქაღალდის დამამზადებელ ქარხანას შეუძლია ქალმლდის ნაკლულოვანების მოსპობა როზეაკრანცი თავის შუამდგომლობასთან ერთად არდგენს ქარხნის მოწყობის გეგმას და ხისაგან დამზადებულ საქონლის ნიმუშებს. ფინანსთა სამინისტრომ მთელი ეს მასალა შესასწავლად სპეციალისტს გადასცა შუამდგომლობას ფინანსთა სამინისტრო მეტად დადებითად უცქერის.

ვაჭრობა-მრეწველობის სამ.

ონის საბაჟო განყოფილება.

ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა ონის საბჟო განყოფილებას აცნობა რომ საზღვარ-

გარედ მანუფაქტურის გაშვება ბაქის გადახდით შეიძლება მიენიჭოს შეფასების დაგვიანად იმ პირთ, რომლებიც საზღვარ-გარეთიდან შემოიტანენ საქონელს. უპირატესობა იმ პირთ უნდა მიეცეთ ვინც შემოზიდავს: სიმინდს, ბატყლსა და პირუტყვს.

ქუთაისის საბაჟო.

ფინანსთა სამინისტროში ქუთაისში არსებულ საბაჟოს დახურვის შესახებ შუამდგომლობა შევიდა. შუამდგომლობასა ასაბუთებენ მით, რო ბათომში საბაჟოს არსებობა ქუთაისის საბაჟოს არსებობას ზედაეტად ხდისო.

გზათა დეპარტამენტი

ეროობათა კავშირის შუამდგომლობა.

ერობათა კავშირმა შუამდგომლობა აღძრა გზათა მინისტრის წინაშე, რათა ბათუმის ნავთსადგურის ახლო მდებარე ნაკვეთი მიწა ფარდულებით გადაეცეს ერობათა კავშირს შელავათიან ფასებში, რაზედაც გზათა მინისტრის მოადგილემ მისწერა გზათა დეპარტამენტს შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ.

ელექტროფიკაციის პროექტი.

აგვისტოს 27. გზათა მიმოსვლის დეპარტამენტის სხდომაზე განიხილეს საკითხი კახეთის და სახაზინო რკინის გზების აღმოსავლეთ ნაწილების ელექტროფიკაციის პროექტის დამტკიცების შესახებ. საკითხის განხილვის შემდეგ კრებამ დაადგინა ამ საკითხის დეტალურად გამუშავებისათვის შესდგეს საგანგებო ტექნიკური, საფინანსო საექსპლოატაციო და იურიდიული კომისიები. კომისიების წევრთა დანიშვნა დეპარტამენტს მიენდო. კომისიამ თავის მუშაობა ერთი თვის განმავლობაში უნდა დაასრულოს. შემდეგ განიხილეს საკითხი ტყვიბულის ქვა-ნახშირის ფასის გადიდების შესახებ ამ საკითხზე გზათა მიმოსვლის დეპარტამენტს საბჭოს წინაშე თავის მოსაზრებების წარდგენა მიენდო. დასასრულ მიიღეს გზატკეცილების მმართველობის პროექტი.

დეპარტამენტის საბჭოში.

გზათა მიმოსვლის საბჭოს უახლოეს სხდომაზე განიხილავენ შემდეგ საკითხებს: 1) რკინის გზების საოპერაციო თანხიდან გორის მაზრაში სახლების ასაშენებლად განსაზღვრულ თანხის გადადების შესახებ, 2) ახალ რკინის გზათა განყოფილების მოხსენება, ჭიათურას მისასვლელ რკინის გზის საზოგადოების პროექტის დამტკიცების შესახებ, 3) ქობულეთსა და ბათომში ნავთის სადგურების მოსაწყობად თანხის გაღებისა და 4) სამტრედიაში ელექტრონულ განათების მოსაწყობად საჭირო თანხის გაღების შესახებ.

უცხოეთი

(საინფორმაციო ბიუროს ცნობები)

ბოლშევიკების ველურობა.

პოლონეთის ოფიციალურ ცნობაში აღნიშნულია საბჭოთა რუსეთის ტყვეობიდან გამოქცეულ პოლონელთა ნაამბობი, რომლებიც ირწმუნებიან, რომ ბალშევიკები აწამებენ პოლონელ ტყვეებს ყოფილ ჯარის კაცებსა და ოფიცრებსო.

ბოლშევიკების ჯარი.

ამერიკული ჟურნალისტი იუწყება: ბოლშევიკებმა პოლონეთის ფრონტზე 80.000 ცხენოსანი ჯარის კაცი დაავროვეს. ამ ჯარის შემადგენლობაში შედის ყაზახები და ტუნგუსთა ჯარის ნაწილები. საერთოთ შენიშნულია რომ რუსეთის ცხენოსანი ჯარი სჭარბობს პოლონეთისას.

სამხედრო ძალა ერთა ლიგის განკარგულებაში.

ლორდმა სესილმა წინადადება შეიტანა რომ ერთა ლიგის განკარგულებაში იყვეს სამხედრო ძალა, რათა მის დადგენილებებს არა მარტო მორალური, არამედ აქტიური მნიშვნელობაც ქონდესო. ლორდ სესილს საჭიროდ მიაჩნია შეიქნას სამხედრო ფრონტი და გადაეცეს ერთა ლიგას მის სრულ განკარგულებაში. სესილის პროექტის შესახებ იმსჯელებენ ერთა ლიგის ნოემბრის სესიაში.

უთანხმოება „სოვნარკომში“.

ვაზეთ „ტაიმსის“ ცნობით ლონდონში მიღებულია ცნობა „სოვნარკომში“ დაწყებულ უთანხმოების შესახებ. ტროცკი კატეგორიულად თხოულობს პოლონეთის საწინააღმდეგო სამხედრო ზომების გასაძლიერებლად ყოველი ღონისძიების მიღებას. ტროცკის აზრით პოლონეთთან ზავი წითელი არმიის დაშლასა და რუსეთში ეროვნული გრძნობის განელებას გამოიწვევს. შემდეგ „ტაიმსი“ აღნიშნავს რომ ბოლშევიკთა წინანდელი გამარჯვებანი პორუჩიკ ტუკაჩევისა და უნტერ-ოფიცერ ბუდიონის გენიის წყალობით მომხდარა. დღეს ტუგაჩევი განდევნილია ბოლშევიკების მიერ.

(გაზეთებიდან)

ჩუვაშის რესპუბლიკა.

გაზეთი „მოსკოვსკაია პრავდა“ იტყობინება, რომ ჩუვაშის ავტონომიურ რესპუბლიკის დეკრეტი უკვე გამოცხადდა. ჩუვაშის რესპუბლიკის ცენტრად იქნება ჩებოსკორი, ახალ რესპუბლიკის ფარგლებში შედის იადრინის მაზრა, ჩებოკსკარის და ყაზანის გუბერნიის ნაწილი.

ლენინის ბრძანება.

პარიზის გაზეთის „ლუჩ“-ის ცნობით ლენინს ბრძანება გამოუცია, რომ რუსეთის 23 გუბერნიაში გამოცხადდეს სამხედრო წესები.

სიმშილი პეტროგრადში.

უსურსათობის და საშინელი ეკონომიურ მდგომარეობის გამო, პეტროგრადი ამ ჟამად საშინელ სურათს წარმოადგენს. ხშირად ქუჩაში ხალხი იმის მოწამე ხდება, თუ პეტროგრადის მცხოვრები სიმშილისგან როგორ კვდება.

აჯანყება ოდესის გარშემო.

სევასტოპოლიდან იტყობინებიან, რომ ბელიავკაში, ოსიდიოპალში და ხერსონის რაიონში ადგილობრივ მცხოვრებლებმა გლეხებმა და გერმანელ კოლონისტებმა აჯანყება მოაწყვეს. აჯანყებულებმა ოდესისკენ მიმავალი გზები სულ მთლად გააფუჭეს. ამ რიგად ოდესა მოწყვეტილია, რომ სურსათ-სანოვაგე მიაწოდონ.

ხალხთა ლიგის სხდომა.

ხალხთა ლიგის საერთო სხდომა დანიშნულია ქალაქ ჟენევაში 15 ს ნოემბერს.

ჩეხო-სლოვაკიის ფინანსიური მდგომარეობა.

გაზეთ „ბოსფორის“ ცნობით ჩეხო-სლოვაკიის კრონის დაცემამ ბაზარზე დიდი ფინანსიური კრიზისი გამოიწვია ჩეხო-სლოვაკიაში.

ვენეზილოსის მოკვლის განზრახვა.

კონსტანტინოპოლის გაზეთების ცნობით ვენეზილოსის მოკვლის განზრახვამ დიდი აღშფოთება გამოიწვია ათინის მცხოვრებლებში. ხალხი ოპოზიციურ გაზეთებში შეცვივნილან და რედაქციები მიენგრ-მოენგრიათ. გაზეთ „ეპოკას“ გადმოცემით ვენეზილოსის მოკვლა განეზრახათ ექს-კოროლ კონსტანტინის მომხრეებს. მკვლელობის გამზრახველნი ყოფილან ოორგი კირიაკისი და ჩერებისი, ვენეზილოსის პოლიტიკის მოციქული.

სომხეთში

ალექსანდროპოლში სამხედრო სასამართლო დაწესდა.

სომხეთის მთავრობამ ალექსანდროპოლის პროფესიონალურ კავშირის საბჭოსაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: „საბჭო მზათ არის მიიღოს მონაწილეობა დემოკრატიის აღმშენებლობითი მუშაობაში.

საბჭო მხარს გიჭერთ თქვენი ქვეყნის მტკიცე მართვა-გამგეობაში ალექსანდროპოლის პროლეტარიატი აცხადებს, რომ იგი მთავრობასთან ერთად მზათ არის იბრძოლოს სომხეთის დამოუკიდებლობის და თავისუფლების დასაცავათ.

„აშხატავორი“ იუწყება, ალექსანდროპოლში 214 დაჭერილთაგან განთავისუფლებულია 120, გადასახლებულია 5, სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს 3.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

ფრანგული პრესა.

ავიაციას მნიშვნელობა.

გაზეთი „დემოკრატი ნუველი“ აღნიშნავს ავიაციის დიდ დამსახურებას ომის დროს: საჰაერო დამოკიდებულება და ჰაერში ფრენის ბევრ რამეში გამოყენება სასიცოცხლო საკითხად გადაიქცა. ამ საკითხის გადაწყვეტაზე არის დამოკიდებული ხალხის ეკონომიური განვითარება, მისი პრესტიჟი და მისი სამხედრო უზრუნველყოფაც. საფრანგეთმა ყველაფერი უნდა გააკეთოს; რომ ამ მხრივ მას არავინ გაუსწროს წინ. საფრანგეთში უკვე შეიქმნა რამდენიმე საფრენოსნო საზოგადოება, რომლებმაც დადებით შედეგებს უკვე მიაღწიეს. პირველ რიგში „დემოკრატ ნუველი“ აყენებს საფრანგეთის საფრენოსნო კომპანიას რომელმაც ორი აპარატით დაიწყო თავისი მოქმედება დროებითი ზავის ჩამოგდების შემდეგო.

სირიის ცენტრ. კომიტ. დეკლარაცია.

„ტანი“ ბეჭდავს სირიის ცენტრალურ კომიტეტის დეკლარაციას, რომელშიაც კომიტეტი იღებს რა მხედველობაში ლივანის მისიისადმი მიწერილი მილიერანის წერილს ფიქრობს, რომ ლივანცების სურვილი განხორციელების გზაზეა.

ეს სურვილები, ამბობს კომიტეტი გამოიხატებოდა, როგორც ჩვენ დამოუკიდებლობის ცნობის, ავრეთვე მისი კონსტიტუციის გაუმჯობესებისკენ მისწრაფებაშიო. შემდეგ კომიტეტი არჩევს მილიერანის წერილს, საიდანაც ნათლად სჩანს, რომ საფრანგეთის მთავრობა ლივანის მისწრაფებებს წინ ეგებებაო.

ბუდიონის დამარცხება.

სექტემბრის 1 პოლონეთის ცნობაში აღნიშნულია, რომ პოლონეთის მესამე ლაშქარმა მოპირდაპირეზე გაიმარჯვა და გენერალ ბუდიონის ჯარი (მეთორმეტე არმიის ნაწილის), რომელსაც ნაბრძანები ქონდა ზამოსტიესა და მარშევის რაიონში პოლონეთის ფრონტის გარღვევა, ლიუბლინის მიმართულებით საშინლად დამარცხდა. მკაცრი ბრძოლის შემდეგ გენერალ ბუდიონის ჯარის ცალკე ნაწილებმა გზა გაიკვლიეს და უწესრიგოდ უკან იხევენ. ლვოვის აღმოსავლეთით პოლონელებმა ბოლშევიკებს უკან დაახევეს. (დამახინჯებულია).

პოლონეთის და ვრანგელის ჯარები.

განზრახულია პოლონეთის და ვრანგელის ჯარების მოქმედების გაერთიანება. ამ მოვლენას დიდი მნიშვნელობა ექნება, თუ მივიღებთ მხედველობაში (დამახინჯებულია) პოლონეთის და ბელორუსიის ჯარები ბოლშევიკებისათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს როგორც ვრანგელი, ისე პოლონელები ამ საკითხს დადებითად უყურებენ. ამ ჟამად მოქმედებათა გაერთიანების მიზნით მოლაპარაკება სწარმოებს. გენერალმა ვრანგელმა მოსალაპარაკებლად ვარშავში გენ. მარკოვი გაგზავნა.

ბრესლავის ინციდენტები.

„ჟურნალი დე-დება“ სწერს: შარლ ლორანმა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ სიმონსთან საუბრის დროს განაცხადა: ზარალის ანაზღაურება, რომელსაც მოითხოვს საფრანგეთის მთავრობა, ფრიად ზომიერია. ამიტომ მთავრობა ამ მოთხოვნილებას არ შესცვლის აქ არ არის არაფერი დამამცირებელი რამ, მაგრამ პან-გერმანული გაზეთები და სამრეწველო წრეების წარმომადგენლები საფრანგეთის წინააღმდეგი არიან. „ლოკალ-ანცეიგერი“ სწერს: საფრანგეთი გამარჯვებათ მოპოებულ სიძლიერეს ბოროტად იხმარს. „ტეგლიპე რუნთმაუ“ და სხ. გაზეთები აცხადებენ, რომ საფრანგეთის მოთხოვნილება თავხედურია.

მოსკოვის ცნობები.

ოპერატიული რადიო ცნობა.

ბრესტ-ლიტოვსკის აღმოსავლეთით 20—40 ვერსის მანძილზე ჩვენ რამდენიმე სოფელი ავიღეთ. აგვისტოს 29 ჩვენ ზამოსტიე ავიღეთ. ლვოვის რაიონში ჩვენ ვაჩერებთ მოპირდაპირის შემოტევას. ბუჩაჩის რაიონში მტრის ნაწილები დნესტრის მარჯვენა ნაპირზე გადავრეკეთ. ყირიმის ფრონტზე გრძელდება მკაცრი ბრძოლები.

ბოლშევიკების მოქმედება ლონდონში

გამოვიდა მოწოდება, რომელშიაც აღნიშნულია საჭიროება ინგლისსა და რუსეთს შორის საზავო მოლაპარაკების დაწყებისა, დაუყონებლივ შეაჩერონ პოლონეთისათვის დახმარების მიწოდება და გამოიწვიონ რუსეთის წყლებიდან ბრიტანეთის სამხედრო გემები. მოწოდება მიმართავს მუშებს იყვნენ მზათ ყოველ მოულოდნელ შემთხვევისათვის.

მოლაპარაკება რუსეთსა და ინგლისს შორის.

გარეშე საქმეთა სახალხო კომისარმა ინგლისის მთავრობისაგან ინგლისის გაზეთებში გამოქვეყნებული ცნობა მიიღო, ცნობაში ნათქვამია: „საბჭოთა მთავრობის მიერ წამოყენებული საზავო პირობა იმის შესახებ, რომ პოლონეთში სამხედრო ძალები მუშებისაგან შესდგეს არავითარ შემთხვევაში არ არის მისაღებიო. ამიტომ ინგლისის და იტალიის მთავრობები მოითოვენ, რომ საბჭოთა მთავრობამ უარყოს აღნიშნული საზავო პირობა, ვინაიდან ჩვენი სურვილია, არა მარტო პოლონეთთან ომის შეწყვეტა, არამედ დიდ ბრიტანეთთან ზავის ჩამოგდებაც, ამიტომ ჩვენ გადავსწყვიტეთ წავიდეთ დათმობაზე ამ საკითხშიაც. ამ რიგად ჩვენ ვიმედთვნებთ, რომ დიდ ბრიტანეთსა და ჩვენ შორის პოლონეთის საკითხის შესახებ სრულიად შეთანხმდებით. საბჭოთა მთავრობამ ინგლისის მთავრობას გაუგზავნა საპასუხო ნოტა: ლონდონში მყოფი ჩვენი საზავო დელეგაცია დიდ ბრიტანეთსა და რუსეთს შორის საზავო მოლაპარაკების დასაწყებად აღარავითარ დაბრძოლებას აღარ ხედავსო. ინგლისის მუშებს მოქმედების კომიტეტმა ლოიდ ჯორჯს და კამენევს შემდეგი დეპეშით მიმართა. კომიტეტი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობამ საზავო პირობების სადავო მუხლზე უარი განაცხადა. კომიტეტი მოითხოვს, რომ ინგლისის მთავრობამ გამოაქვეყნოს ის საზავო პირობები, რომლზედაც იგი დასთანხმდება საბჭოთა რუსეთთან ზავის ჩამოგდებას.

ვაჭრობა-მრეწველობა

მარგანეცის ექსპორტი.

თანახმად „ჩემო“-ს ცნობებისა აგვისტოს 17—27 მდე სხვა და სხვა გემებით 620.000 ფუთი მარგანეცი გაუტანიათ. ამ ჟამად ფოთში უცხოეთის 5 გემი სდგას. ამ გემებით $1^1/_2$ მილიონ ფუთ მარგანეცს გაიტანებენ. ბათომში მდგომ სამი გემით კი გაიტანებენ 750.000 ფუთ მარგანეცს.

ქართველთა და ფრანგთა სავაჭრო-სამრეწველო პალატა.

ქართველთა და ფრანგთა სავაჭრო-სამრეწველო პალატას ესტუმრა საფრანგეთის უმაღლესი კომისარი დე-მარტელი. გრაფი დე-მარტელი გაეცნო პალატის მუშაობას და მას დახმარება შეჰპირდა. დე-მარტელის წინადადებით პალატა შეუდგა განსაკუთრებულ მემორანდუმის შედგენას და ისეთი მასალების შეკრებას, რომელიც საფრანგეთის საზოგადოებას გააცნობს პალატის მუშაობასა და მიზნებს.

ამავე პალატამ აღძრა შუამდგომლობა პალატის შენობაში საფრანგეთთან რადიოს მიმღებ პალატის მოწყობის შესახებ. ამას იმით ასაბუთებენ, რომ ეს გარემოება შექმნის საფრანგეთსა და საქართველოს ვაჭართა წრეებს შორის მჭიდრო კავშირს და პალატას ყოველთვის თავის დროზე ეცოდინება ფინანსიური საქმის ვითარება. ამ მიზნით პალატას განზრახული აქვს გაიჩინოს უცხოეთში თავისი საკუთარი კორესპონდენტები. ამა პალატის პრეზიდიუმი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ პალატაში მუშაობა სწარმოებს 10—3 საათამდი. დაინტერესებულ პირს საფრანგეთის ეკონომიურ ცხოვრების შესახებ ცნობები ყოველ დღე შეუძლია პალატის მდივანთან მიიღოს.

ახალი ამბები

ახალი რადიოს სადგური. ქართველთა და ფრანგთა სავაჭრო-სამრეწველო პალატა იუწყება: შესაძლებელია ამ მოკლე ხანში მოეწყოს ტფილისში დიდი რადიო სადგური, რომლის პროექტიც საფრანგეთის მოქალაქეს ემერს აქვს შემუშავებული. თუ ეს პროექტი განხორციელდა საქართველოს საშუალება ექნება ევროპის ყველა ძლიერ რადიოებთან დამოკიდებულება იქონიოს. საქართველოში განზრახულ ტიპის რადიო მოწყობილია ბორდოში. ბორდოს რადიო სადგური იმ კომპანიას ეკუთვნის, რომლის რწმუნებულადაც საქართველოში წარმოგზავნილია მოქ. ემერი. სამხედრო სამინისტროს ტეხნიკურმა კომისიამ ემერის პროექტი მოიწონა.

ვაგონი შევარდნელებისათვის. სახალხო განათლების სამინისტროს თხოვნით რკინის მმართველობამ შევარდნელებს ბათომს, ფოთს, ახალსენაკსა და ქუთაისში საექსკურსიოდ მესამე კლასის ვაგონი დაუთმო.

ფოილოს ხიდი. ბათუმიდან ტფილისში საგანგებო მატარებლით ჩამოვიდა ადერბეიჯანის რკინის გზათა სახალხო კომისარი ჩინგლის-ილგრიმი. მას ჩამოყვა მთავრობის თავმჯდომარე ნარიმანოვი, რომელიც ფოილოს ხიდის დამთვალიერების შემდეგ უკანვე დაბრუნდა.

გაწვეულთა შესახებ. შრომის სამინისტროს განმარტებით იმ პირთ, რომლებიც ექვსი კვირით გაწვეული არიან სამხედრო ბეგრის მოსახდელად არ მიეცემათ შრომის ჯილდო, თუმცა ადგილი კი ენახებათ.

ღვინო. მეღვინეობა-მევენახეობის საზოგადოების თაოსნობით მოხდა თათბირი ღვინის ღირსების გაუმჯობესების შესახებ

მოსალაპარაკებლად. გადაწყვიტეს სთხოვონ მთავრობას ამ მიზნისთვის სესხი.

დამფუძნებელ კრებაში. დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიამ მიიღო გელათის მონასტრის არქიმანდრიტის შუამდგომლობი ჩამორთმეულ მიწების ან ეკლან დაბრუნების ან შემოსავლის სხვა წყაროს აღმოჩენის შესახებ.

შრომის კომისარიატი ბათომში. შრომის სამინისტრომ სთხოვა ბათომისა და მისი ოლქის საგანგებო კომისარს მოახდინოს განკარგულება, რომ მუშებს დაეთმოს საჭირო შენობა. დღეს ასეთი შენობის უქონლობის გამო მუშაობა ვერ დაუწყია შრომის კომისარიატს, საავადმყოფო კასას და მუშათა მაგიდას.

უქმი დღეები. საქართველოს საკითალიკოსო საბჭო, თანახმად სამღვდელოების მეორე ყრილობის დადგენილებისა, შუამდგომლობა აღძრა, რომ განმრავლდეს უქმი დღეები. სამინისტრომ უპასუხა: დასახელებულ უქმ დღეებს დიდი პატივი არა აქვს ხალხში და ისე კი ზედმეტი უქმეები რესპუბლიკის ეკონომიურ მდგომარეობაზე და მით უმეტეს მუშათა კლასის მდგომარეობაზე ცუდათ იმოქმედებსო.

სამსახურიდან დათხოვნა. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციამ სამსახურიდან დათხოვა კორექტორები მოვალეობის უყურადღებოთ ასრულების გამო.

გარდაიცვალა საზოგადო მოღვაწე, წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის დამაარსებელი ილია წინამძღვრიშვილი,

საქართველო და ადერბეიჯანი. ადერბეიჯანის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ მ. დ. ჰუსეინოვმა საქართველოს ელჩ ალიშბაიასთან და ადერბეიჯანის ელჩ სადიკოვთან ერთად საქ. მთავრობის თავმჯდ. მოადგილე ინახულა და ეკონომიურ საკითხებზე მასთან ხანგრძლივი მოლაპარაკება ჰქონდა. მოლაპარაკება მით დასრულდა რომ უმთავრეს პუნქტებში შეთანხმდნენ. ამ დღეებში მოლაპარაკებას დაასრულებენ და საქართველოსა და ადერბეიჯანს შორის ხელშეკრულებას ხელს მოაწერენ.

პურის ღირსების გაუმჯობესება. სასურსათო განყოფილება აცხადებს ყველა იმათ საყურადღებოთ, რომელნიც მუშათა მაგიდის პურით სარგებლობენ, რომ დღემდი მდარე ხარისხის პურის მიზეზი იყო მხოლოდ ქერის პურის ცხობა. ეხლა სასურსათო განყ. მოთხოვნით მომარაგების სამინისტრომ მოგვცა ხორბალი და ამიერიდან პურის ღირსებაც გაუმჯობესდებაო.

ევროპის მუშათა მისია საქართველოში. 4 აგვისტოს „მორნინგ პოსტ“-ში და „ტაიმსში“ დაბეჭდილია შემდეგი: ჟენევა, აგვისტოს 3. საქართველოს (ტრანს-კავკასია) სოციალისტური მთავრობის მიპატიჟებით მუშათა მისია ეწვევა ამ ქვეყანას მომავალ თვეში იქ სოციალურ და პოლიტიკურ პირობების გამოსარკვევათ. მისიაში შევლენ ბბ. ვანდერველდე, ჰუისმანი და დ, ბრუკერი (ბელგია). ბბ. რამზეი მაკდონალდი და თომ შოუ და მასის სნაუდენი. (დიდი ბრიტანეთი) და შესაძლებელია კ. კაუცკიც (გერმანია). ვიზიტის მიზანია საქართველოს პირობები შეადაროს სხვა ქვეყნის პირობებთან. მისია სექტემბრის სამს გაემგზავრება.

ბათომი

ი. პ. გობეჩიას ნაამბობი.

პარიზიდან მოსულმა საქართველოს დელეგაციის წევრმა ი. პ. გობეჩიამ საქ. დეპ. სააგენტოს თანამშრომლთან საუბრის დროს განაცხადა: პარიზში მყოფ საქართველოს დელეგაციამ თავისი მუშაობით შესძლო დაეინტერესებია ევროპა და კერძოთ საფრანგეთი. საფრანგეთი ამ ჟამად საქართველოს მიმართ კეთილად არის განწყობილი. საქართველოს დელეგაციას ანგარიშს უწევენ. იგი ამიერ-კავკასიის და საქართველოს ყველა მნიშვნელოვან საკითხების გადაჭრაში მონაწილეობას იღებს. კერძოთ საქართველოს დელეგაციის სან რემოში მონაწილეობამ, მიუხედავათ სომხეთის დელეგაციის სასტიკი წინააღმდეგობისა, დიდი გავლენა იქონია ბათომის საკითხის გადაწყვეტაზე. რა თქმა უნდა, ამ საკითხის გადაწყვეტაზე დიდი გავლენა იქონიეს საერთაშორისო მოვლენებმა, მაგრამ დიდი გავლენა იქონია აგრეთვე საქართველოს დელეგაციის მიერ საქართველოს ინტერესების დაცვამაც. საფრანგეთსა და საქ. შორის დამოკიდებულება ამ ჟამად გაუმჯობესებულია. ფინანსთა და სამხედრო სამინისტროები საქართველოსთან კეთილ-განწყობილებაში არიან. ამის რეალური შედეგები ალბად მალე მოხდება. ამ მხრით გეგეჭკორის გამგზავრებას დიდი მნიშვნელობა აქვს. დასასრულ გობეჩიამ განაცხადა: ახლო მომავალში საქართველოში მეორე ინტერნაციონალის საგანგებო კომისია ჩამოვა. კომისიაში შედიან: კაუტსკი გუიხმანსი, მაკდონალდი, შოუ და ვანდერველდე. შესაძლებელია რომ კომისიას ჩხეიძეც თან წამოყვეს. გობეჩიას საერთო შთაბეჭდილება ასეთია, რომ საერთაშორისო პოლიტიკური ბარომეტრი საქართველოს მიმართ დადებითიაო.

კისკინ-ზადეს შეპყრობა.

ტფილისის სისხლის სამართლის მილიციის უფროს ბ. ფაჩულიას უბრძანა საგანგებო კომისარმა ბ. ვ. ჩხიკვიშვილმა, რომ მას აუცილებლათ ცოცხალი თუ მკვდარი მოეყვანა კისკინ-ზადე, რომლის შესაპყრობათ იყო მიღებული სასტიკი ზომები.

ამ დღეებში სისხლის სამართლის მილიციის უფროსმა მიიღო ცნობა, რომ კისკინ-ზადეს უნდა მისი ნახვა ტყეში, 7 ვერსის მანძილის დაშორებით ქ. ქობულეთიდან. ბ. ფაჩულია დანიშნულ დროს ორი თავისი მილიციელების და კისკინ-ზადეს მეუღლის თანხლებით მივიდა, ოცი წუთის შემდეგ ტყიდან გამოჩნდა კისკინ-ზადე, რომელსაც თან ახლდა ექვსი, თავიდან-ფეხებამდე შეიარაღებულნი, ბ. ბ. ფაჩულიამ პირველათ წინადადება მისცა მათ აეყარათ იარაღი, წინააღმდეგ შემთხვევაში უარს უცხადებდა მოლაპარაკებაზე. კისკინ-ზადე დასთანხმდა. იარაღის აყრის შემდეგ ბ. ფაჩულიამ წინადადება მისცა კისკინ-ზადეს ჩაბარებოდა საქართველოს მთავრობას, ამასთანავე დასძინა რომ მას არ აქვს დავალებული მთავრობისაგან მოლაპარაკება იქონიოს პატივებაზედ. ამას შემდეგ კისკინ-ზადე თავისი ამხანაგებით დანებდენ ისინი ჩამოიყვანეს ქ. ბათუმში, სადაც ამ ჟამად იმყოფება ტფილისის სისხლის სამართლის მილიციის უფროსის განკარხულებაში. ორი დღეა სწარმოებს გამოძიება, რის დამთავრების შემდეგ კისკინ-ზადე ოქმით გადაეცემა საგანგებო კომესრის ვანკარგულებაში.

რკინის გზებზე

ნავთი სომხეთის რკ. გზებისათვის.

საქართ. მყოფ სომხეთის დიპ. მისიის საინფორმაციო ბიურო დაინტერესებულ პირთ აუწყებს, ცნობ. საქართველოს მთავრობის მიერ სომხეთისათვის სათბობი მასალის გადაცემის შესახებ სიმართლეს არ შეესაბამება; და ამიტომ სომხეთის რეს. გზებზე მოძრაობის აღდგენის საკითხი კვლავ ღიათ რჩება. ეს განცხადება გამოწვეულია ადგილობრივ გაზეთებში მოთავსებულ ცნობით, რომელიც შეეხებოდა საქართ. მთავრობის მიერ სომხეთის მთავრობისათვის მაზუთის გადაცემას და სომხეთის მისიაში შემოსულ შეკითხვებით, რომელიც სომხეთის რკ. გზ. მოძრაობის აღდგენას ეხებოდა.

ზემო აღნიშნული ცნობა მთავრობის დადგენილების შესახებ რომელიც ეხებოდა სომხეთისთვის სათბობი მასალის გადაცემას, გაუშვა საქ. დეპ. სააგენტოს საინფ. განყოფილებამ ამ ცნობის სინამდვილეს ადასტურებს შემდეგი წერილი, რომელიც გაგზავნილი იყო გზ. დეპარტამენტის დირექტორის მოადგილეს კანდელაკის მიერ ამა წ. აგვ. 26 № 3288 სომხეთის გზ. მინისტრის სახელზე. მიიღო რა მხედველობაში სომხეთის რკ. გზებზე მოძრაობის შეჩერებას მოძრაობის აღდგენის დახმარების აღმოჩენის მიზნით საქ. რესპ. მთავრობამ ჩემის შუამდგომლობით აგ. 24 სხდომაზე დაადგინა სომხეთს რკ. გზის საჭიროებისათვის გადასცეს 3 ცისტერნი ნავთი და 1 ცისტერნი მაზუთი, რისთვისაც თქვენ პირადათ, უნდა მიმართოთ ბ. მომარაგების მინისტრს.

ფოსტა-ტელეგრაფში

ფოსტა-ტელეგრაფის სკოლის დაარსება.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენება ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოსთან ფოსტა-ტელეგრაფის სკოლის დაარსების შესახებ მთავრობამ მოიწონა. ამ რიგად ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოსთან დაარსდება ფოსტა-ტელეგრაფის სკოლა ერთი წლის კურსით. სკოლა მოამზადებს მსურველებს ფოსტა-ტელეგრაფის უწყების სხვა და სხვა სამსახურისათვის. სკოლაში მასწავლებლად და სკოლის გამგეთ დაინიშნება გამოცდილი და მცოდნე მოსამსახურეები და მეცადინეობა იქნება სამსახურიდან თავისუფალ დროს. სკოლაში მოწაფეებათ მიღებულ იქმნებიან ახალგაზრდები არა ნაკლებ 18 წლისა და არა უმეტეს 25 წლისა. ის პირნი, რომლებიც სკოლაში შევლენ ჩაითვლებიან სახელმწიფო სამსახურში და დაენიშნებათ თვიური საკანდიდატო ჯილდო თვითეულს ათასი მანეთი. სკოლაში თავისუფალ მსმენელებად სამმართველოს უფროსის ნებართვით დაშვებულ იქმნებიან სამსახურში მყოფი მოხელეებიც ამა თუ იმ საგნების შესასწავლად.

ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურენი.

ფოსტა-ფელეგრაფის უწყების მოსამსახურენი შეეკითხენ შრომის სამინისტროს მიეცემათ თუ არა თვიურ დაქირავებულთ ერთდროული დახმარება სურსათის მაგივრად ჯამაგირის 25%. სამინისტრომ ამაზედ მათ დადებითად უპასუხა.

მუშათა ცხოვრება

ხურსათი მუშებს.

მუშათა მაგიდა აუწყებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ გორში არსდება მუშათა მაგიდა, რომელიც მიაწვდის გორის მაზრის მუშებს და მოსამსახურეებს იაფ-ფასიან სურსათსო.

ლანჩხუთის მუშებში.

მუშათა მაგიდამ აუწყა ლანჩხუთის ტყის მუშებს, რომ ისინი თვეში ოჯახზე მიიღებენ თითო ფუთ ქერსა და სულზე თითო გირვანქა შაქარს.

შეშა და ნახშირი.

მუშათა მაგიდამ აუწყა ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსს, რომ მის მიერ მიღებულია ზომები მუშების შეშითა და ნახშირით დასაკმაყოფილებლად.

ბიბლიოგრ. შენიშვნები

ვეფხისტყაოსანი

გამოცემა წერა-კითხვის საზოგადოებისა.

წიგნების გამომცემლობის საქმე ჩვენში მეტად ცუდ პირობებში იყო თავიდანვე. ჩვენი საუკეთესო მწერლების ნაწერები დღეს აღარ მოიპოვება. მოთხოვნილება კი სახალხო საკითხავი წიგნების დღითი-დღე იზრდება. ხალხი ეძებს საკითხავ წიგნს და როცა უკეთესს ვერ პოულობს კმაყოფილდება ქუჩური ლიტერატურით. ასეთ პირობებში სწორედ სულზე მიწერება იყო წერა-კითხვის საზოგადოების მიერ გამომცემლობის დაწყება. ამ მეტად ფრიად სიმპატიურ საზოგადოებას დიდი სამსახური მიუძღვის ერის წინაშე; მან თითქოს შეასრულა თავისი მისია, ბევრი თავისი საქმეების ლიკვიდაცია მოახდინა, მაგრამ მან ისევ გამომცემლობას მოჰკიდა ხელი. დღევანდელი ქაღალდის კრიზისისა და ხელფასის დროს მან უკვე შესძლო რაოდენიმე საყურადღებო წიგნების გამოცემა; ეტყობა გამომცემლობას—უნარიც აქვს გამოცემისა და ალღოს აღებაც შესძლებია. ამას მოწმობს თუ გინდა, უკანასკნელი მისი გამოცემა—„ვეფხის ტყაოსანი“ დ. კარიჭაშვილის რედაქტორობით. ჩვენ გვაქვს რაოდენიმე სხვა და სხვა პირთა თუ დაწესებულებათა გამოცემული „ვეფხის ტყაოსანი“, ყველა მათგანი ბევრათ თუ ცოტათ ერთმანეთიდან განირჩევიან. ეს იმიტომ ამ უკვდავ პოემის გარშემო დღესაც სხვა და სხვა აზრი არსებობს ჩვენ მოწინავე საზოგადოებაში: ზოგის აზრით „ვეფხის ტყაოსანი“ ორგინალური ნაწარმოებია, ზოგის შეხედულობით კი არა. ზოგისთვის ისიც კი სადაოა, თუ ვინ არის მისი ავტორი ან როდის არის დაწერილი. ჩვენ არ შეუდგებით ამ მოსაზრებების განხილვას, რადგანაც ეს შეუძლებელია ამ პატარა შენიშვნაში. ამას შემდეგ უფრო ვრცლად შევეხებით ცალკე, ვიტყვით მხოლოდ, რომ ჩვენ „ვეფხის ტყაოსანი“ ორგინალურ ნაწარმოებათ მიგვაჩნია.

წიგნს წინ დართული აქვს ორი სურათი ავტორისა. მოყვანილია მოკლედ „ვეფხის ტყაოსნის“ შინაარსი, რაც მდაბალ მკითხველს გაუადვილებს „ვეფხის ტყაოსნის“ შინაარსის გაგებას. როგორც ვიცით, რომანს დართული აქვს თავსა და ბოლოში რაოდენიმე ტაეპი, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს რომანთან. ამიტომ გამომცემლობას ეს ტაეპები ცალკე მოუთავსებია 31 ტაეპი თავში თავნართის სახელწოდებით, ოთხი ტაეპიც ბოლოს—ბოლონართი. „ვეფხის ტყაოსნის“ შინაარსი კი მოთავსებულია 1541 ტაეპში. პოემა გვარიან სურათებით არის დასურათებული. პოემის ბოლოს მოთავსებულია „ვეფხის ტყაოსნის“ ლექსიკონი, რომელიც იძლევა ყველა ასოებზე სრულ ახსნა-განმარტებას იმ უცხო სიტყვებისას, რომელიც პოემაში შეხვდება მკითხველს. წიგნი მომსხო ტანისაა, შეიცავს 400-დე გვერდს, გამოცემულია ლამაზად და 150 მანეთი წიგნის ფასი დღევანდელ პირობებში, როცა აწყობაც ძვირი ჯდება და ქაღალდიც მამასისხლად არის, სულაც არ არის ძვირი.

სამეცნიერო-საპედაგოგიო ჟურნალი „განათლება“.

ეს ჟურნალი გაგრძელებაა იმ პედაგოგიურ ჟურნალ „განათლებისა“, რომელსაც რედაქტორობდა განსვენებული პედაგოგი ლ. ბოცვაძე. ეს ჟურნალი იმ დროს ერთად-ერთი ლამპარი იყო იმ დროს ყველგან მივიწყებულ ჩვენ სქოლასტიკურ სკოლებისათვის. ჟურნალს დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. დღეს, პირიქით უფრო მეტ საჭიროებას შეადგენს ჩვენი ცხოვრების თვითეული დარგისთვის სპეციალური ორგანოს არსებობა; მით უმეტეს პედაგოგიური მეცნიერება ჩვენში ყველა დარგზე უფრო ჩამორჩენილია. არ მოგვეპოება დღემდე ისეთი წყაროები, არც ორგინალური, არც ნათარგმნი, საიდანაც შესაძლებელი იყოს ძველი და ახალი პედაგოგიური იდეების თანდათანობითი განვითარების სავსებით შესწავლა; ისიც ხომ ცხადია, რომ ჩვენი მასწავლებლობის დიდი უმეტესობა, სამწუხაროდ მოკლებულია უბრალო ელემენტარულ პედაგოგიის ცოდნასაც კი; ჩვენი მასწავლებლების უმეტესობა, მხოლოდ პრაქტიკაზე ამყარებს თავის სამოსწავლო მოღვაწეობას. რაც თავისთავად კარგია, მაგრამ თეორიაც რომ საჭიროა მასწავლებლისათვის ესეც შეურყეველი ჭეშმარიტებაა.

დღეს ჟურნ. „განათლების“ გამოცემა მასწავლებელთა კავშირის ხელშია; უკვე გამოიცა 5 ნომერი, მაგრამ უნდა გულახდილათ ვთქვათ, რომ ჟურნალის შინაარსი ჯერ-ჯერობით ჩვენ ვერ გვაკმაყოფილებს. ავიღოთ თუ გინდა უკანასკნელი ნომერები—4 და 5-ე: აქ მოთავსებულია რამდენიმე ვრცელი წერილები; „ახალი სკოლის ძირითადი პრიციპები“ მ. ზანდუკელისა, „გამოჩენილ პედაგოგთა აზრი აღზრდის შესახებ, კ. ბ—ჯ—ძისა, „ჰაე და სანი“, „დონი თუ თანი“ პროფ. ახვლედიანისა და სხვა. ეს მასალები თავისთავად საყურადღებოა, დიდი მნიშვნელოვანიც, მაგრამ ყველა მათგანს არა აქვს მჭიდრო კავშირი პედაგოგიურ მეცნიერებასთან. მართალია, მეცნიერების ერთ დარგს აქვს ცოტათ თუ ბევრად მეორე დარგის მეცნიერებასთან კავშირი, მაგრამ სპეციალური ორგანოს უპირველესი ამოცანი უნდა იყოს მხოლოდ დასახული დარგის შესწავლა. „დონი თუ თანი“ ეს ენათ მეცნიერების, გრამატიკის საქმეა. რაც შეეხება ჟურნალში მოთავსებულ რუსულიდან ნათარგმნს „ძველ და ახალ გამოჩენილ პედაგოგთა აზრებს“ ეს კარგი მასალაა, მაგრამ ასეთი ვრცელი წერილებით პერიოდიული ჟურნალი მაინც არ უნდა მოვაცდინოთ: ჩვენი აზრით, უკეთესი იქნება თუ ასეთ მასალას მასწავლებელთა კავშირი ცალკე წიგნაკებათ გამოსცემდეს, თუ საამისო ორგინალური მასალა არ მოგვეპოება შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ ნათარგმნითაც (მაგ. კომენსკი, ჟან-ჟაკ რუსსო, ლუკის და სხვა ცნობით პედაგოგთა მოძღვრებაზე) როგორც ვიცით ხსენებული ჟურნალი არის ორგანო როგორც საშუალო ისე დაბალი სკოლის. მაგრამ ვეჭვობთ სახალხო სკოლის მასწავლებელმა ამ ნომერში ნახოს ისეთი რამ, რომელიც მას აინტერესებდეს, მაგ. მას ნაკლებად ეინტერესება ბ. დანელიასი, დ. უზნაძის საკამათო საგანი; მას დღეს აინტერესებს კომპეტენტური პედაგოგების აზრის გაგება იმის შესახებ, თუ რომელი სახელმძღვანელო სჯობია ისევ „დედა-ენა“ თუ ახლად გამოცემული ბ. ზედგენიძის „ან-ბანი“, და სხვა ასეთი დღიური საკითხები და ჟურნალმაც უმთავრესად ასეთ საჭირ-ბოროტო საკითხებს უნდა მიაქციოს ყურადღება. არ შეიძლება ითქვას, რომ არ გვყავდეს გამოცდილი მასწავლებლები, რომელთაც არ შეეძლოს ამა თუ იმ საჭირ-ბოროტო სასკოლო საკითხების შესახებ ავტორიტეტულად აზრი გამოსთქვას“ როგორ არა. გვყავს თითო-ოროლა ასეთი გამოცდილი მასწავლებლებიც; მართალია ბევრ მათთაგანს არ სცალია—ჩამბული არიან სახელმწიფოებრივ საქმეებში, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, ისინი მაინც, არ დაიზარებენ და რედაქციას მიაწვდიან საჭირო მასალას. მიუხედავათ ზემოაღნიშნულ დეფექტებისა, ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობა სრულ იმედს გვაძლევს, რომ ჟურნალი „განათლება“ ჯეროვან ნიადაგზე დადგება. ბ.

ქილიციაში

2 სექტემბერს სისხლის სამართლის მილიციის მოხელეებმა დაატუსაღეს ეხლახან ბათუმიდან ჩამოსული პროფესიონალური ქურდები 1. ლონგინოზ ილშრიონის ძე ყიფიანი, 2. ვლადიმერ პარმენის ძე ჯანიაშვილი და 3 მეხტი ზეინალ ოღლი. ყველა ისინი დატუსაღებულ არიან № 1 საპყრობილეში პირველი ორი სამ სამი თვის ვადით და უკანასკნელი 2 თვით.

— ტფილისის სის. სამ. მილიციის უფროსის თანამ. �d. ბ. ჩიხლაძეს ცნობა ჰქონდა რომ ვაგზლის ქუჩ. № 6 ინახება გადამალული დიდ-ძალი შაქარი ადგილობრივ წავლინებულ იქნენ სისხლის სამართლის მილიციის მოხელეები ცნობის შესამოწმებლათ სადაც აღმოჩენილი იქნა ას ოც და ცხრა ფუთი შაქარი (129) მარილის საფქვავ წისქვილის უჯრებში გადამალული კუთვნილი აკოპ არამიანცის. ძიებამ გამოარკვია, რომ არამიანცი ელოდებოდა შაქარზე ფასის მომატებას და ამიტომ არ ჰყიდდა მას, არამიანცს არ აღმოჩნდა სავაჭრო მოწმობა, ის დატუსაღებული გადაეცა სათანადო გამომძიებელს და შაქრის გაყიდვის უფლება აეკრძალა სასამართლოს განაჩენის გამოტანამდე.

— 9 ივლისს დარაჯებს გაექცათ ტუსაღ. გრიგოლ სააკის ძე ლორთქიფანიძე, რომელსაც ბრალი ედებოდა 30000 მან. ქურდობაში, სისხლის სამართლის მილიციამ დაატუმრა 2 სექტემბერს ლორთქიფანიძე და ბასუხის გებაში მისცა ის გაქცევისათვის.

— 3 სექტემბერს სისხლის სამართლის მილიციამ დაატუსაღა ალექსანდრე ალექსანდრეს ძე კალიუჟნი რომელსაც ბრალი ედება ყალბი ფულების გაღებაში. კალიუჟნის მილიცია დეეძებდა თანახმად შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებისა 29 ივლისის № 16723 მომართვისა კალიუჟნი გადაეცა ქალაქის მილიციას კვლევა ძიება წარმოებს.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

დაიკარგა მოწმობა პროსკოვია ივანეს ასული მინაევის სახელზე, მიღებული სამხედრო საოლქო შტაბიდან ტფილისში 1904 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2549 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან და საოჯახო პასპორტი, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისგან ოსებ არშაკის ძე გულულოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2542 3—2

დაიკარგა დროებითი -ოწმობა ვასილი ნიკიტის ძე ჩერნიშევის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს.
2543 3—2

დაიკარგა საბინაო დავთარი გუდაუთის ქუჩაზე № 11 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ხაჯი ხანუმ ბადან ბეგოვს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2545 3—2

დაიკარგა ერთი წლით სამხედრო ბეგრის მოხდის ვადის გაგრძელების მოწმობა, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან და სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული ტფ. სადგურის კომენდანტისგან ნ. ვ. მაისურაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს.
2540 3—2

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ს. ანაგიდან (სიღნაღის მაზრა) და სამხედრო უბანზე მიწერილობის ბარათი, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან ალექსანდრე მალხაზის ძე ანდროზაშვილის სახელზე. 2541 3—2

დაიკარგა ტფ. ქალაქის გამგეობასთან დადებული ხელშეკრულება № 200 ნარიმანი ბაბაევის ძე ეივაზოვის სახელზე, ნახალოვკაში მდებარე მამულის შესახებ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2550 3—2

დაიკარგა პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის კანცელარიის მიერ გაცემული პირადობის მოწმობა პლატონ ერასტოს ძე ფიჩხუას სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს.
2525 3—2

დაიკარგა მოსკოვის უნივერსიტეტის დამთავრების დროებითი მოწმობა № 2001 სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა და ამიერ-კავკასიის ბანკის კვიტანცია-9600 მან. მიხეილ ერემიას ძე ჩიქოვანის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2537 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა ზაქარია ნიკოლოზის ძე კედენიევის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიტეხნიკუმიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2509 3—3

დაიკარგა მოწმობა ბაბილინა ბურჯულა. ძის სახელზე, მიღებული ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობიდან. 1919 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2497 3—3

დაიკარგა ტფ. 5 გიმნაზიის 4 კლ. მოწმობა მაიორ შტეინბერგის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2523 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული რკ. გზის კომიტეტიდან, პასპორტი, მიღებული ს. ქავთისხევის თემიდან პირადობის მოწმობა სურათით მიღებული რკ. გზის სამმართველოდან ალექსანდრე გიორგის ძე ლაშკარაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2524 3—2

დავით ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-დავითიშვილი აცხადებს, რომ იგი აუქმებს მის მიერ სოფ. ფცაში მცხოვრებ გრიგოლ პავლეს ძე ოსაძის სახელზე გაცემული მინდობილობას, რომელიც დამტკიცებულია ქ. ტფილისში ნოტარიუს მაჩავარიანის კანტორაში 1920 წ. აპრილის 3-ს № 3183.
2548 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა გაცემული ტფილისის სამხედრო უფროსის მიერ და ტფილისის ქალაქის გამგეობის მიერ გაცემული ცხენის ნომერი ნიკოლოზ ზაქარიას ძე ხარჩილაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2531 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა ფრიდრიხ რეშისა, მიცემული ტფილისის ტელეფონის ქსელის უფროსის მიერ 8 ივნისიდან 1920 წ. № 1519 და ორი ბარა (нарядъ) მიცემული იმავე უფროსის მიერ მექანიკოს კულაკოვზე ტელეფონის ნამბის შესასწორებლად ელისაბედის ქუჩ. № 129 (რკინის გზის სამმართველო) 24 აგვისტოდან 1920 წ. №№ 1164 და 1165, ყველა ბოროტმოქმედების ასაცილებლად ტელეფონის ქსელი აფრთხილებს ბატონ აბონენტებს რომ ყველა მუშაობა ხსენებულ ბარით ჩაითვლება არა ლეგარულად და მასში პასუხს არ აგებს.
871 3—2

დაიკარგა ველოსიპედის ნებართვა № 17 არმენაკ შალომოვის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2503 3—3

დაიკარგა ვაჭრობის ნებართვა, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან და პატენთი, მიღებული ხაზინიდან ასვაცატურ გაბრიელის ძე პალელიანცის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2492 3—3

დაიკარგა პასპორტი ანდრია ბასილის ძე იმერლიშვილის სახელზე, მიღებული ს. შილდოს (კახეთი) კომისარისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2489 3—3

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან, მეტრიკული მოწმობა და პარსელ გაბრიელის ძე პალელიანცის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2491 3—3

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი ვანო გრიგოლის ძე სელეპანოვის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს.
2573 3—1

დაიკარგა საბინაო დავთარი გონჩარნი ქუჩაზე № 44 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ისაკ ზურაბის ძე ავეტიქოვს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2574 3—1

დაიკარგა სამტრედიის რკ. გზის სასწავლებლის 4 კლასის დამთავრების ატესტატი № 159 მიხეილ კაკაბაძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2567 3—1

დაიკარგა პასპორტი ოლღა მიხეილის ასული რიკოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2571 3—1

დაიკარგა საბინაო დავთარი ბაბილუგის ქუჩაზე № 34 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ჩაიკოვსკის, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2572 3—1

სამხედრო სასამართლო აგვისტოს 21 გამწესრიგებელ სხდომის დადგენილებით თანახმად სამხედრო სასამართლოს წარმოების წესდების 951 მუხ. ეძებს ყოფილ შავი ზღვის სანაპირო რაზმის ჯარის კაცს ქუთაისის გუბერნიის, ბასილეთის საზოგადოების ს. ბუკნარის მცხოვრებ, სვიმონ ივანეს ძე დოლიძეს, 23 წლისას, რომელიც მიცემულია სასამართლოში ბოროტმოქმედებისათვის გათვალისწინებულ პუნ. „ბ" 131 და 132 მუხ. XXII წიგნ. ს. დ. კ. 1869 წ. მე 4 გამოცემით.

ყველა, ვინც იცის სად იმყოფება აღნიშნული დოლიძე ვალდებულია აცნობოს სამხედრო სასამართლოს, რომელიც მოთავსებულია სასამართლოს ქუჩ. № 32. 872 3—1

დაიკარგა სამხედრო ნუსხა № 3, მიღებული ქუთაისის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან 1919 წ., პასპორტი, მიღებული სოხუმის ქალაქის მილიციის უფროსისაგან და იარაღის ტარების მოწმობა № 915, მიღებული სოხუმის გვარდიის შტაბიდან ნესტორ დიონოს ძე ტორონჯაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2565 1—1

დაიკარგა საბინაო დავთარი კირკის ქ. № 35 და ელისაბედის № 69 ქ. კუთხეში მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ძმ. ვასილოვებს. გაუქმებულად ჩაითვალოს.
2575 3—1

დაიკარგა ტფ. კერძო ლომბარდის კვიტანცია № 77071—300 მან. ღირებულების. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2576 3—1

დაიკარგა პასპორტი სურათით მიხეილ კონსტანტინეს ძე დოლიძის სახელზე, მიღებული საქართველოს კონსულისაგან ბათომში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2569 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული ხარაგოულის უბნის მილიციის უფროსისაგან და სამხედრო აღრიცხვის მოწმობა, მიღებული შორაპნის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან მილიციონერ იასონ ხარაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს.
2568 3—1

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა (სამსახურის ნუსხა) გრიგოლ ივანეს ძე ჯანიაშვილის სახელსე, მიღებული გორის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს.
2555 3—1

დაიკარგა ს.-დემოკრატიული პარტიის წევრობის ბარათი № 49 გიორგი ალექსის ძე მელიქაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2556 3—1

დაიკარგა საოჯახო უვადო პასპორტი ივანე გრიგორის ძე ჩიგერის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტერის სამმართველოდან, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2561 3—1

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი ავეტიქ გარსიას ძე ბეჟანოვის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს.
2570 3—1

სამხედრო სასამართლო ამა წლის 21 აგვისტოს გამწესრიგებელ სხდომის დადგენილებით, თანახმად სამხედრო სასამართლოს წარმოების წესდების 951 მუხ. ეძებს ყოფილ პირველ მსროლელ რაზმის ჯ. კ. ქუთაისის მაზრის, მანდიკორის საზოგადოების ს. ჭუპის მცხოვრებ ირაკლი ისაკის ძე მერკვილაძეს, რომელიც მიცემულია სასამართლოში ბოროტმოქმედებისათვის გათვალისწინებულ 128, 134 და 163 მუხ. XXII წიგ. ს. დ. კ. 1869 წ. მე-4 გამოცემით.

ყველა ვინც იცის სად იმყოფება ამ ჟამდ აღნიშნული მერკველაძე ვალდებულია განუცხადოს სამხედრო სასამართლოს, რომელიც მოთავსებულია სასამართლოს ქ. № 32.
872 3—1

სამეგრელოს ოლქის, აბაშის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს ამა 1920 წ. მაისის 27-ან გარდაცვალებულის გიგო, იგივე გიორგი, ხოსიკიას ძის ქოიავას მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ზემოხსენებულ ქოიავას დანაშთ ქონებაზე მე 1241 მუხ. სამ. სამართ. წარმ. წეს. აღნიშნულ ვადაში. 2479 1—1

დრამდის უბნის მომრიგებელი მოსამართლე თანახმად 1241 მუხ. 1 ნაწ. სამოქ. კან. X კრებ. იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებულის მცხოვრ. ს. ვარჩის დრანდის თემისა თომა პავლეს ძე ნიკოლავას ქონებაზედ თავისი უფლების გასაცხადებლად. ექვსი თვის ვადაში, დღიდან განცხადების დაბეჭდვისა.
2480 1—1

დრანდის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ მცხოვრებ ს. ბაბუშერის ნიკო სიმონის ძე ბეჭვაიას მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ბეჭვაიას ქონებაზე' სამოქ. კრებ. მე 10 ტ. 1 ნაწ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში.
2560 1—1

ქ. ტფილ. მე-3 უბნის მომრიგებელმა მოსამართლემ გაუქმა მინდობილობის ქალალდი მიცემული ილარიონ იგივე სამსონ ონისიმეს ძე მახარაძის მიერ ნესტორ ცინცაძის სახელზე რომელიც შემოწმებული იყო ქ. ბათუმის ნოტარიუს ქარცივაძესთან 15 ნოემბერს 1919 წ. რეესტრის № 1084. 2536 1—1

ახალქალაქის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს მცხოვრებ სოფ. ხორენიაში, ახალქალაქის მაზრისა არუტიუნ და გაზარ ზაქარიას ძე ოგანესიანცების მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება ხსენებულ ოგანესიანცების სიკვდილის შემდეგ დანაშთ ნაჩვენები 1241 სტ. 10 ტ. 1 ნაწ.
0593 1—1

მომრიგებელი მოსამართლე დუშეთის უბნის იწვევს, გარდაცვალებული 19 ივლისსა 1920 წ. ქვრივი სოფიო ალექსანდრეს ასული ჩიგიანის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება მის ქონებაზედ სამ. კან. კრებ. 10 ტ. 1 ნაწ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 0593 1—1

სამხედრო სასამართლო ამა წლის 21 აგვისტოს გამწესრიგებელ სხდომის დადგენილების თანახმად სამხედრო სასამართლოს წარმოების წესდების 915 მუხ. დაეძებს დარიალის სანაპირო რაზმის ჯ. კ. შორაპნის მაზრის ს. ცის მცხოვრებ გიორგი კაპანაძეს, რომელიც მიცემულია სასამართლოში ბოროტმოქმედებისათვის გათვალისწინებულ 160 მუხ. XXII წ. ს. დ. კ. 1869 წ. მე-4 გამოცემით.

ყველა ვინც იცის სად იმყოფება აღნიშნული კაპანაძე ვალდებულია განუცხადოს სამხედრო სასამართლოს, რომელიც მოთავსებულია სასამართლოს ქ. № 32. 872 3—1

ტფილისის გარე უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ნიკოლოზ სანველის ძე მირიმანოვის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება ხსენებულ მირიმანოვსს დარჩენილ ქონებაზედ კანონთა კრებულის მე 10 ტომის 1 ნაწ. მე 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაზე. 1912 1—1

ქ. ტფილისის მესამე უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ვილგელმ კარლოს ძე ცენერის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ცენერის ქონებაზე, სამ. კან. 10 ტ. 1 ნაწ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1239 1—1

ქუთაისის ქალაქის მილიციის სამართველო თანახმად დიმიტრი ივლიანეს ძე მგალობლიშვილის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს მიწის ნაყიდობის ქალალდი, მიცემული გრიგოლ იოსების ძე კემულარიასაგან 15 დეკემბერს 1904 წელში, დამოწმებული ზუგდიდის მაზრის სოფელ კოკის საზოგადოების მამასახლისისაგან და ათასი მანეთის ბარათი მიცემული ილარიონ კიკვაძისაგან სთხოვს მნახველებს აღნიშნული საბუთებისა წარმოადგინონ მილიციის სამმართველოში ჩასაბარებლათ კუთვნილებისამებრ. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუქმებულათ ჩაითვალოს.
2566 3—1

სახელმწიფო სტამბა. რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი